ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 306

« 15 » აგვისტო 2017 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 20000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.33.019.184) ა(ა)იპ „აუტიზმის კვლევისა და ხელისშეწყობის ფონდისთვის" (ს/კ 405079640) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, `ქ. თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 20000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.33.019.184) ააიპ „აუტიზმის კვლევისა და ხელისშეწყობის ფონდისთვის" (ს/კ 405079640) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის საკითხის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 19 ივლისის №26.13.522 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 20000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.33.019.184) ა(ა)იპ „აუტიზმის კვლევისა და ხელისშეწყობის ფონდისთვის" (ს/კ 405079640), პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემაზე, აუტიზმის მქონე პირთათვის სასწავლო/სარეაბილიტაციო კომპლექსის მშენებლობის და მუდმივი პროფილის შენარჩუნების მიზნით, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით განსაზღვრული აღნაგობის პირობების შესაბამისად.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის აღნაგობის წლიური საზღაური - 100 (ასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი